ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01220883656**
თარიღი: **29/03/2022**
პინი: **0337**

ადრესატი: ზვიადი ჩანქსელიანი
პირადი ნომერი: 27001001019
მისამართი: ლენტეხი ს. ხელედი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 01220752076-67
განცხადების თარიღი: 16/03/2022

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

- საკადასტრო კოდი :01.11.13.002.448
- მისამართი :ქალაქი თბილისი , მარკ ბრონშტეინის I ჩიხი N6-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი II , გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ

განმცხადებელი-დამკვეთი :ზვიადი ჩანქსელიანი
პირადი ნომერი :27001001019
მისამართი :ლენტეხი ს. ხელედი

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილება /

თქვენი განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01220881**
თარიღი: **29/03/2022**
პინი: **4243**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01220752076-67
განცხადების თარიღი:	16/03/2022
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილება /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.11.13.002.448
მისამართი :	ქალაქი თბილისი , მარკ ბრონშტეინის I ჩიხი N6-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი II , გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ
მესაკუთრეები :	შპს "333",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ზვიადი ჩანქსელიანი
პირადი ნომერი :	27001001019
მისამართი :	ლენტეხი ს. ხელედი
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ზვიადი ჩანქსელიანი
ტერიტორიის გამოყენების სახეობა და არსებული ან მინიჭებული პარამეტრები :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი კომერციული)
კ - 1 :	0.7
კ - 2 :	3.5

კ - 3 :	0.2
მოთხოვნილი განაშენიანების კოეფიციენტი - კ - 1 და ინტენსივობის კოეფიციენტი - კ - 2 :	
კ - 1 :	0.5
კ - 2 :	3.5
მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	წინამდებარე განცხადებით მოგმართავთ თხოვნით შეიტანოთ ცვლილება სპეციალური ზონალური შეთანხმებაში და ნაცვლად 60% საცხოვრებელისა და 40% კომერციულისა დაგვიფიქსიროთ 90% საცხოვრებელი და 10 % კომერციული, აქვე გაცნობებთ, რომ მზად ვართ კანონმებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტს გადავცეთ 4% შეცვლილი ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად.
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	ტერიტორიის კვლევა მოგახსენებთ რომ ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა აღნიშნული ტერიტორიის კვლევა მის : ქ.თბილისი გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ ს/კ 01.11.13.002.448, აღნიშნული ტერიტორიის მიწის ნაკვეთის დანიშნულება არის არასასოფლო-სამეურნეო , კვლევის შედეგად დადგინდა , რომ განაშენიანების ძირითად სახეობებს შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და მრავალფუნქციური შენობები , რომლის სიმაღლეც მერყეობს 7.0 მეტრიდან 50.20 მეტრამდე. საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთით ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცეები , დანარჩენ სამ მხარეს რეგისტრირებული ნაკეთები . საპროექტო ტერიტორიაზე იგეგმება მრავალფუნქციური დანიშნულების შენობის აშენება (საცხოვრებელი კომერციული და საოფისე) სადაც პროცენტული გადანაწილება იქნება შემდეგი საცხოვრებელი 90 % კომერციული 10% საკვლევ ტერიტორიაზე განაშენიანების ძირითადი სართულიანობა მერყეობს 2 სართულიდან 16 სართულამდე , ხოლო სიმაღლე 7 მეტრიდან 50.20-მდე საკვლევი ტერიტორიის სავარაუდო კოეფიციენტები : მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი შეადგენს კ1=0.7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი შეადგენს კ2=3.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი შეადგენს კ3=0.2 კვლევაში ასახული რეალობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საპროექტო ტერიტორიის განვითარება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) ფუნქციით .
პოზიცია :	
პროექტის აღწერა :	2022 წლის 16 მარტის N 01220752076-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის I ჩიხი N6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.11.13.002.448) მრავალფუნქციური შენობის (90% საცხოვრებელი, 10% სხვა) განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილებასთან დაკავშირებით, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიციას, გაცნობებთ: საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. ახალი საავტობუსე კვლევის ფარგლებში, მიმდებარე ტერიტორია, კერძოდ, ა. გობრონიძის ქუჩა მოიაზრება ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფნად (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). გარდა ამისა, ა. გობრონიძის ქუჩა მომსახურებული იქნება მეორე (CITY) და მესამე (LOCAL) დონის საზოგადოებრივი ტრანსპორტით. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. საზოგადოებრივი ტრანსპორტის უახლოესი გაჩერება 250 მეტრის ფარგლებშია. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილების განხორციელების წინააღმდეგი არ არის.
შექმნის თარიღი :	
	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების

თანამდებობა :	სააგენტო-უფროსის მოადგილე
ხელმომწერი :	ნინო ბაგაშვილი
ნომერი :	0122082743
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
გადაწყვეტილების დასაბუთება :	დაინტერესებაში არსებული საკითხის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448, ფართობი:1444 კვ.მ) ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "რ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) არის საშუალო ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "რ" ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0,5 * / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=3.5 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3=0.2/0.3* მინიმალური ფართობი 600/700* კვ.მ მინიმალური სიგანე 15/20* მეტრი მინიმალური სიღრმე 25/30* მეტრი შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თანახმად, ვრცელდება გეგმარებითი კარკასი (გკ) და მცირე ნაწილზე პერიფერიული ზონა (პზ) ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის I ჩიხი, N6-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, II მიკრო / რაიონი, გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის Nბ01.012125915 (16.09.21.) ბრძანებით გაიცა სპეციალური (ზონალური)შეთანხმება, მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო შენობა - ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის / ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიცილიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. „თეთრ კარკასულ“ მდგომარეობაში. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულები ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 10%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული

	ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ №5679637 (11.11.21.) ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (საცხოვრებელი 60 % / კომერციული 25 % / საოფისე 15 %) ფუნქციით. დაინტერესებაში არსებული განაცხადით ითხოვენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №01.012125915 (16.09.21.) ბრძანებაში ცვლილებას მრავალფუნქციური შენობის შემადგენელი ფუნქციური დანიშნულების სახეობის პროცენტულობის გაზრდით: ნაცვლად 60% საცხოვრებელი ფუნქციისა, 90% საცხოვრებელი ფუნქციის დაფიქსირების და მაკომპენსირებელი ღონისძიების 4% -ის განხორციელების მიზნით. აღნიშნული ცვლილების თაობაზე საკითხი განხილულ იქნა სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურში, რომლის მხრიდან გაიცა დადებითი რეკომენდაცია (წერილი: N0122082743 (23.03.22.)) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესების, მუხლი 16^1-ის ,,საზოგადოებრივ-საქმიან ზონებში (სსზ-1; სსზ-2) სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით საცხოვრებელი ფუნქციის განთავსებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების თაობაზე“ თანახმად: განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) (საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2)) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში ან გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. აღნიშნულით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით), არანაკლებ 50 კვ.მ.-სა; მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების (შესაბამისი ოდენობის ფართობის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის) თაობაზე განმცხადებლის მხრიდან N01220752076-67 (16.03.22.) განაცხადით დაფიქსირებულია დადებითი პოზიცია
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით. საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული ცვლილება არ იქონიებს მკვეთრ ზეგავლენას აღნიშნულ გარემოზე, ამასთან მოთხოვნილი ფუნქციის განვითარებაზე უკვე არის დაფიქსირებული დადებითი პოზიცია და სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის მიერ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია მოთხოვნილ ცვლილებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს დასაშვებად მიაჩნია ქალაქ თბილისში, მარგ ბრონშტეინის I ჩიხი, N6-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, II მიკრო / რაიონი, გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის (90% საცხოვრებელი, 10% კომერციული) განთავსების მიზნით, ქალაქ თბილისის მერის №01.012125915 (16.09.21.) ბრძანებაში ცვლილების განხორციელება, განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების

	გათვალისწინებით. ასევე გათვალისწინებულ იქნეს: მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობანაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი

ბრძანება:**ბ01.01220891**
თარიღი:**30/03/2022**
პინი:**1942**
გადააძროვნეთ: **document.municipal.gov.ge**

„ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის I ჩიხი, N6-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, II მიკრო/რაიონი, გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 16 სექტემბრის Nბ01.012125915 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 16^1 და 22-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01220752076-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის I ჩიხი, N6-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, II მიკრო/რაიონი, გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 16 სექტემბრის Nბ01.012125915 ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის I ჩიხი, N6-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, II მიკრო/რაიონი, გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის I ჩიხი, N6-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, II მიკრო/რაიონი, გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.448) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%) განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური

(ზონალური) შეთანხმება“

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით), არანაკლებ 50 კვ.მ.-სა“.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01220752076-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

